საქართველო
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
უმაღლესი საბჭოს წევრი

ტელ: +995 (0) 32 228 54 48, ელ.ფოსტა contact@sca.ge, ბათუმი, ლუკა ასათიანის 37

08/06/2022
N 09-02-16/328

328-09-02-16-2-202206081621

საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის
თავმჯდომარეს ბატონ გიორგი წერეთელს

სადეპუტატო კითხვა

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციის მე-15 მუხლის პირველი პუნქტისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტის 126-ე მუხლის შესაბამისად, გთხოვთ, გვაცნობოთ ჩაქვი შეკვეთილის ახალ გზასთან დაკავშირებით:

1. როდის გაიხსნა, წელი თვე და რიცხვი;
2. გახსნის დღიდან დღემდე რამდენჯერ მოხდა შეკეთება, შეკეთებაზე დახარჯული თანხის ოდენობის გათვალისწინებით, წლების მიხედვით;
3. შინაგან საქმეთა სამინისტროსაგან ან საპატრულო პოლიციისაგან მიგიღიათ თუ არა რეკომენდაციები საგზაო მოძრაობის წესების დარღვევების სიხშირის გამო რეაგირებასთან დაკავშირებით. ასეთის არსებობის შემთხვევაში გთხოვთ მოგვაწოდოთ შემოსული და გასული წერილების ასლები;
4. თქვენს მიერ მოხდა თუ არა ზემოაღნიშნული მონაკვეთის კვლევა, ანალიზი, რით არის გამოწვეული საგზაო მოძრაობის წესების დარღვევები, ასეთის არსებობის შემთხვევაში გთხოვთ მოგვაწოდოთ დასკვნის/ანალიზის, შემუშავებული რეკომენდაციებისა და სხვა ნებისმიერი დოკუმენტის ასლი;

5. ზემოაღნიშნული გზა აკმაყოფილებს თუ არა სტანდარტებს ორმხრივი მოძრაობისათვის, წლის ყველა სეზონზე? თუ არ აკლმაყოფილებს გთხოვთ განგვიმარტოთ რა სტანდარტებს არ აკმაყოფილებს?
6. მიგიმართავთ თუ არა რომელიმე სახელმწიფო უწყებისათვის ზემოაღნიშნულ მონაკვეთზე ტრანსპორტის მოძრაობის სხვაგვარად მოწყობის ან რაიმე შეზღუდვების დაწესების მოთხოვნით? ასეთის არსებობის შემთხვევაში გთხოვთ მოგვაწოდოთ გასული და შემოსული წერილების ასლები;

პატივისცემით,

გია აბულაძე

საბჭოს წევრი

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს წევრები